საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

«ЛЕЧХУМИ» — орган Цагерского райкома компартии грузии и Цагерского районного совета народных депутотов

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს. №29 (6256) ხუთშაბათი, 1990 წლის 8 მარტი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილად დაგვებედოს!

დღეს მთელს საბჭოთა ქვეყანაში მიმდინარეობს გარდაქმნა, საჯაროობისა და დემოკრატიის დამკვიდრება.

ამ ჩვენი ცხოვრების დინამიკურ დროში, ცვლილებებისა და გარდაქმნების დროში არსებითად იზრდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი. საზოგადოებრიობას დღეს ისინი მიაჩნია აღმშენებლობის, საერთო-პოლიტიკური თვალსაზრისის, საჯაროობის, დემოკრატიის გამოხატვის მძლავრ საშუალებად.

გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში მიმდინარე განმაახლებელი პროცესები გვიკარნახებს, რომ ახლებურად შევხედოთ ფაქტებს და მოვლენებს, გარდავიქმნათ დღევანდელი დღის მოთხოვნების შესაბამისად.

არსებით გარდაქმნას მოითხოვს რაიონული გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის მუშაობის სტილი და მეთოდები, მომავალ საქმიანობაში საჯაროობის, დემოკრატიისა და პლურალიზმის დამკვიდრებისა და სრულყოფისათვის. ამასთან დღის წესრიგში დადგა გაზეთის სახელწოდების შეცვლის აუცილებლობაც იმ თვალსაზრისით, რომ იგი უფრო დაუახლოვდეს რაიონის პრობლემების გადაწყვეტას იმ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, რომლის ფარგლებშიც ვრცელდება.

სახელწოდება „კომუნიზმის სხივი", რომელსაც გაზეთი 25 წელია ატარებს, მიუთითებდა გარკვეულ ეტაპზე მის მიზანსა და დანიშნულებას.

დღეს, როდესაც მნიშვნელოვნად იმატა საინფორმაციო საშუალებების ნაკადმა, მკვეთრად უნდა გამოიკვეთოს ადგილობრივი პრესის როლი იმ პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც თანამედროვე ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა. მიზანი და სახელწოდება უნდა შეესატყვისებოდეს კონკრეტულ ამოცანებს.

ამასთან რედაქციამ გაითვალისწინა ისიც, რომ გაზეთის სახელწოდების შეცვლას აქტიურად მოითხოვს საზოგადოებრიობა, საკითხები დასმული და განხილული იქნა ახალგაზრდობის რაიონულ შეკრებაზე, სხვადასხვა დროს მოწყობილ მიტინგებზე. რედაქციის „მრგვალ მაგიდასთან" მოეწყო საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და გაზეთში გამოქვეყნდა არაერთი მოსაზრება და წინადადება.

საზოგადოებრიობის უმრავლესობის აზრია გაზეთს ეწოდოს „ლეჩხუმი", რაც გარკვეულწილად იმითაა გამართლებული, რომ ეთნოგრაფიული კუთხე ლეჩხუმი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი რაიონით.

ამასთან როგორც პარტიულ, ისე დანარჩენ ჟურნალ-გაზეთებს დღემდე კვლავ აქვთ ტრადიციული დევიზი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!", რაც, როგორც ამის შესახებ სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა გასულ წელს გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტი", აღარ შეესაბამება დღევანდელ დღეს და გამოხატავს მხოლოდ ინერციას.

გაზეთ „ლეჩხუმის" სარედაქციო თათბირმა ამ დღეებში იმსჯელა ამ საკითხზე და არჩევანი შეაჩერა ლადო ასათიანის ცნობილი ლექსის სალაღობოს სტრიქონზე „საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს". რედაქციას მიაჩნია, რომ ეს დევიზი ძველთან შედარებით უფრო მიესადაგება მთელი ქართველი ერის მიზნებსა და ამოცანებს.

მაშ, ასე, რაიონულმა გაზეთმა დღეიდან დაიწყო გამოსვლა ახალი სახელწოდებით „ლეჩხუმი" და ახალი დევიზით „საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!".

დაე, ახალი სახელი და დევიზი კეთილად დაგვებედოს ჩვენი რესპუბლიკისათვის, ქართველი ხალხისათვის, მისი დიადი სანუკვარი მიზნის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ქვირფასო ქალებო!

როგორც არასდროს, ისე სჭირდება ახლა ჩვენს ერს თქვენი სიმამაცე, შვილთმრავლობა, ეროვნული სულის აღზევებისათვის ბრძოლა, საქართველოს უცილობელი ნათელი მომავლის შემზადება.

დაე, თქვენს ქართველქალობას აეღორძინებინოს მიწა ქართული.

გაზაფხულის პირველ დღესასწაულზე, ქალთა საერთაშორისო დღეს მადლობას გიხდით დაუღალავი გარჯისა და სითბოსათვის, თანადგომისა და მზრუნველობისათვის, დედობისა და ქართველ ქალობისათვის.

წინ კიდევ რთული გზაა. თქვენზე ბევრადაა დამოკიდებული ერის კონსოლიდაცია, ერთიანობა, მაღალი ზნეობისა და ადამიანური იდეალების დამკვიდრება.

გილოცავთ დღესასწაულს! გისურვებთ ბედნიერებასა და სიყვარულს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს, სიკეთე და სიხარული თქვენს ოჯახებს!

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომი.
სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი.
ქალთა რაიონული საბჭო.

არჩევნების შესახებ

უმჯობესია

დღითიდღე გვიახლოვდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დღე. მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ახლა მიმდინარეობს მზადება ამ დღის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. ყველასათვის ცნობილია, რომ ეს არჩევნები დიდად განსხვავდება წინა არჩევნებისაგან თავისი დემოკრატიულობით და საჯაროობით. ამის საილუსტრაციოდ მარტო ის კმარა, რომ ჩვენს რაიონში შექმნილ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დღეისათვის რეგისტრაციაში გატარებულია 8 კანდიდატი.

უკვე მიმდინარეობს რაიონული გაზეთის მეშვეობით დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიების და წინასაარჩევნო პროგრამების თეზისების გაცნობა. უკვე რესპუბლიკის მასშტაბით დაიწყო დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან.

ჩემი და ჩემი თანამოსაქმეების აზრია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაგეგმოს და უხელმძღვანელოს დეპუტატობის კანდიდატების ყველას ერთად, ან მეტი წილის მაინც შეხვედრას ამომრჩევლებთან, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, რათა უფრო ახლოს გავეცნოთ დეპუტატობის კანდიდატებს, მათ შრომით საქმიანობას და სწორი არჩევანი გავაკეთოთ.

მამუკა მუშკუდიანი.
სოფ. მახაში.

თბილი დედა და ბებია

თბილი დედა და მეოჯახე, მზრუნველი ბებია და სოფელში მიღებული ქალი, ყველა ამ ტიტულით ახასიათებს ბარდნალელ ნინა ნემსწვერიძეს, მეტის თქმის სურვილიც აქვთ და შესაძლებლობაც, უფრო უკეთ რომ გადმოსცენ მისი სიტყვიერი პორტრეტი.

იგი ამ სოფლის რძალია, ბარდნალელი გიორგი ნემსწვერიძე ტყიბულში მეშახტე იყო, იქ გაიცნო ქალბატონი ნინა. როცა შეუღლდნენ, ლეჩხუმელ კაცს სხვაგან გული არ დაუდგა და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდნენ, შექმნეს ოჯახი, ოთხი შვილი—სამი ქალი და ერთი ვაჟი აღიზარდა მათ კერაზე. ახლა ყველა დაოჯახებულია. მართალია, ოჯახის უფროსი ამ რამდენიმე წლის წინ გამოეცალათ, მშრომელი კაცი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით სავსე ჭერქვეშ.

ვაჟიშვილი ჯემალი მოწინავე მოიჯარეა, რძალი ნორა—რაიონული საბჭოს დეპუტატია.

თბილი დედა და ბებია

ნინა წიფერჩის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს და ყოველ დილით ფერმისკენ მიეჩქარება, 22 ძროხას უვლის, ჯიშიანი ფურები ჰყავთ და რომ ნინა არა, ადვილად ვერავის ამდობენ მათ მოვლას, ყოველდღიურად 130 კილოგრამი რძის ჩამოწველა ერთი ქალისგან ხუმრობა ხომ არაა. თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს, მიუხედავად ასაკისა, რასაც აკეთებს, ბეჯითად, ხალისიანად და მადლიანად აკეთებს.

შვილები კარგად დააბინავა და ცხოვრებას არ ემდურის, რძალს კი ყოველთვის იმას ეუბნება,— ნორა, ბევრი შვილი ბევრი გულის ვარდია, ორი ბიჭის ამარა ნუ დავრჩებით. კარგი შვილიშვილების ბებიაა, მაგრამ თავის კერაზე ორი შვილიშვილი მაინც ეცოტავება და რა ქნას. ფერმაში რომ საქმეს მორჩება, ვენახისაკენ გარბის, აბრეშუმის პარკს ყოველწლიურად იწევს რძალ-დედამთილი. ნაამაგარს ვერსად დაუწუნებ. კმაყოფილია ფერმაში შრომით, ანაზღაურებაც კარგი აქვს, ყოველთვიურად 300 მანეთი ემატება მისი შრომით ოჯახს. უყვარს თავისი საქმე და როცა ხედავს ვიღაცას სჭირდება, აზრი და შინაარსი ემატება მის ცხოვრებას, შრომა-საქმიანობას.

8 მარტი ქალთა საერთაშორ

ქართველი ქალი არასოდეს ყოფილა მოვლენების მიდმა, პირიქით, იგი, ქართველის დედა, იყო და არის თავისუფლებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. ზრდიდა რა შვილებს, ასწავლიდა მამულის სიყვარულს, ერთგულებას, სიმამაცე, „ნეტავ იმ ერს, რომელსაც მზნე დედაკაცნი მყავსო", ბრძანა ილიამ. მართლაც ჩვენ ცრემლთან და ტკივილთან ერთად სიამაყე და ბრძოლა გვასწავლა, ბრძოლა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლა მაღალი ზნეობისათვის, სიწმინდისათვის.

ამიტომაც დღეს, როგორც არასდროს, ისეა საჭირო ჩვენი ქალების ბრძოლა და თავდადება, გონიერება და სიმამაცე, სიტუალი კაცისათვის უცხო მორალს, გულგრილობასა და ბიუროკრატიზმს, ლთოთობასა და ნარკომანიას, ყოველგვარ სოციალურ უსამართლობას, რაც ჩვენ თვალწინ შეინიშნება.

ეურდნობა რა ქალთა ინიციატივასა და შემოქმედებითს ენერგიას, ქალთა საბჭო ხელს უწყობს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მარტოხელა, მრავალშვილიან დედებთან მუშაობას, ოჯახური კონფლიქტების მოწესრიგებას, სტიქიისაგან დაზარალებულთა დახმარებას.

დიალოგში, შეხვედრებში იკვეთება ბევრი პრობლემა და ტკივილი, რომლებიც ჩვენს ქალებს აწუხებთ. არაერთ სოფელს უჭირს უგზოობით ცუდი საყოფაცხოვრებო, სავაჭრო მომსახურებით, 5-6 თვის ბავშვებისათვის მიუწვდომელია ნატურალური რძე, არ აქვთ ბალი, ბაგა...

დედებს არ ეშლებათ, რომ ბევრი რამ ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ ჩვენი თანადგომისა და გულისხმიერების იმედი აქვთ და მოგვმართავენ. ბევრი რამ წყდება, ბევრიც არა. ამ დღეებში, დედის დღეს, 3 მარტს, რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულმა კომისიამ მიიღო

შვილი გაგიმრავლოთ, ერი გაგიმძლავროთ!

და ნეტავი ჩვენ, რომ გვეამაყება დედათა დვაწლი ადრე საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე, გვეამაყება დიდი თამარი, წმიდად შერაცხული შუშანიკი და ერსა და რჯულს შეწირული ქეთევან დედოფალი, ასე გრძელდება დღესაც — საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის სამსხვერპლოზე მიიტანეს თავიანთი სიცოცხლე შარშან 9 აპრილს ჩვენმა გოგონებმა და ქალებმა, რომელთა სისხლმა, თავდადებამ ციისა და მომავლის განკვრეტა.

ქალთა რაიონული საბჭოს, ადგილებზე ქალთა საბჭოების უპირველესი მიზანია ავამაღლოთ ოჯახის პასუხისმგებლობა შვილების, ჩვენი საზოგადოების ხვალინდელი წევრების აღზრდის საქმეში. ჩვენ უნდა შევეცადოთ საქმით დავუმტკიცოთ ერს ერთგულება. დედებს, ჩვენ, ქალებს, ადამიანურობის, კაცთმოყვარეობის უშრეტი ძალა გვაქვს და ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ მიმდინარე მოვლენებზე. თუ არა ჩვენ, ვინ შეებრძოლება ქართველ

მ. ძნელაძე.
ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

ფართოა მისი საგრუნავი

ARIAN ადამიანები, რომელთა ცხოვრების აზრი შეპირვებულის ნუგეშისცემა, სიკეთის ქმნა და სხვისი ცხოვრებით ცხოვრებაა, სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვენ, თავისთავზე პრეტენზია არასდროს დასცდებათ, თვალშიც არავის ეჩხირებიან. სწორედ ასეთია ზუბის სასოფლო საბჭოს მდივანი გოგუცა ჩაკვეტაძე.

ბავშვობიდანვე სერიოზული საქმეებისკენ ლტოლვა დასჩემდა მის სულს და აკი ცხრვრების გზაზეც სამუდამოდ გაჰყვა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობდა, მაგრამ... ამ დროს ყოჩაღ და საქმისთვის შემართულ გოგონას ფრიად სერიოზული საქმე ანდეს, სასოფლო საბჭოს მდივნობა შესთავაზეს. ეს იყო 1952 წელი და იქიდან აგერ უკვე ოცდათვრამეტი წელია ამ საქმეს ემსახურება. ოჯახიც ამავე სოფელში შექმნა, მეუღლე დუგლას ომანაძე ზუბის საფოსტო განყოფილების რადიოტექნიკოსია, წყნარი, ლამაზი ოჯახი აქვთ.

სამი ვაჟიშვილი აღიზარდა მათ კერაზე, უფროსი ინჟინერია და სოხუმის ერთ-ერთ სამკერვალო ფაბრიკაში საამქროს უფროსია, ორი კი სპეციალობას დაეუფლა და მშობლიურ სოფელში შრომობენ. დედ-მამას ოჯახიდან უფროსის გაგზავნაც არ უნდოდა, მაგრამ სპეციალობის შესაფერი საქმე აქ არ იყო და უარი ვერ უთხრეს.

სასოფლო საბჭოს ყველა ოჯახის ამბავი ხუთი თითივით იცის გოგუცამ, ანდა რა გასაკვირია, 38 წელია, რაც სასოფლო საბჭოს დეპუტატია. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა სასოფლო საბჭოს სოფლების კეთილმოწყობისათვის. თვით სოფელ ზუბში ახალი საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, საექიმო ამბულატორია, პურსაცხობი, კავშირგაბმულობის განყოფილების მშენებარე ობიექტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კეთილმოწყობილი გზა, უკანასკნელი წლების მონაპოვარია და სოფლის ამ სახიკეთო ფერიცვალებამ მიგრაცია, დაკეტილი სახლები საგრძნობლად შეამცირა.

საქართველოში შექმნილ დღევანდელ სიტუაციას, ეროვნულ მოძრაობას ამაღლებული განწყობით უყურებს მუდამ საზრუნავით დატვირთული, გამოცდილი და განათლებული ქალი—რასაკვირველია არ არის კარგი ამდენი მიტინგები, ამდენი შიმშილობა, მაგრამ ქართველ კაცს, მუდამ საძმოდ და სამეგობროდ გულგაშლილს, რომელმაც საუკუნეების მანძილზე დაადასტურა სხვა ხალხებთან ძმობა და მეგობრობა, აეკრძალოს მოთმინების ფიალა და ბოლოსდაბოლოს თავზე არავის დაისვამსო,—თქვა.

იცის, კარგად იცის, რომ ჩვენს ერს დღეს ისე უჭირს, როგორც არასდროს, რომელ ქართველს არ უნდოდა თავისუფალი საქართველო, რომელ ქართველს არ უნდა დირსეული ქვეყნის, ღირსეული მოქალაქეობა, მაგრამ ეგებ ყოველ ივე ამას წინ წაუსწროს ზოგი ერთი საკითხის მშვიდობიანი, ურთიერგაგების გზით მოგვარებამ.

უყვართ სოფელში სიკეთით სავსე ქალი და ამბობენ კიდეც მასზე—მართლაც ყოჩაღი, ვაჟკაცური ქალია, დაღლილი არავის უნახავსო.

ჯ. მანდარია.

კოლხი მედეას შთამომაჟალი

ჩვენი სტუმრობა ეუცნაურა, თუმცა უცხო სტუმარი არ უკვირს მის ოჯახს, საიდან არ მოდიან აქ — ავადმყოფობით შეპირვებულ ადამიანებს სწამთ, რომ მარიამ მდივნის განთქმული წამლები და მალამოები უტყუარია. მისი წამლები შეებას აძლევენ გაუსაძლისი ტკივილებით შეწუხებულ მეძუძურ ქალებს და კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ ძუძუმწოვარა ჩვილზე, არჩენენ კოლიტს, დამწვრობას, ქირურგიული ჩარევის გარეშე აკრობენ ფურუნკულებს (ძირმაგარას) და ბევრ მისთანას.

კოლხი მედეას 78 წლის შთამომავალი სიამოვნებით გვიმხელს თავისი ფარმაკოლოგიური ხელოვნების საიდუმლოებას — მამაჩემმა იცოდაო სამკურნალო ბალახებისაგან წამლების დამზადება. ისა და სულგანათლებული ვილიამ გოლეთიანის მამა, ვარლამი ერთმანეთს უზიარებდნენო გამოცდილებას. მერე, ჩემი შილი ექიმი იყო. და იმანაც ბევრი რამ მასწავლაო. ახალგაზრდობაშივე დავოსტატდი ამ საქმეში და ყოველთვის მზადა ვარ მოყვასის სამსახურადო.

ჯერაც ბავშვი ყოფილა აღველი ახალდიანების ლამაზი ასული, გვესოელ. მდივნებს რომ დაუდგამთ მისთვის თვალი. ძნელი დრო იყო. კოლექტივიზაციის სასტიკი წლები. და გაჭირვებია ოჯახის ახალგაზრდა დისახლისს. ცუდი დრო. იყო, შვილო. გაგებული და გაუგებელი ყველა ანგრევდაო ყველაფერს, აკულაკებდნენ, სარჩოს ართმევდნენ ადამიანებს, ჩაის ვერ გაუსინჯავდიო გემოს, — ამბობს, — ნახევარი კილოგრამი მანის ბურღული რომ გეშოვნა ავადმყოფი ბალღისთვის, 3 ქათამს უნდა შელეოდი. მასში გადასაცელელად. ამის მიუხედავად შვილნობაზე უარი არ უთქვამს არასდროს. 10 შვილი შესძინა ქვეყანას.

მეუღლე აგრონომი ჰყავდა, მამამთილიც ნაკითხი კაცი იყო თურმე, განათლებული, — ოჯახში სკოლა გახსნა და ბავშვებს ასწავლიდაო. მეც მამზადებდა 4 წლის განმავლობაში. მაგრამ მოძალებულმა საქმეებმა სწავლის გაგრძელებაზე ხელი ამაღებინაო. ოჯახში 13 სული ვიყავით და დიასახლისობის მთელი სიმძიმე ჩემზე გადადიოდაო.

მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლაც იმდენი სარჯელი აქვს, საკუთარი თავისთვის ვერ იცლის. მათ ფართო ძველებურ კარმიდამოს, ბაღს, ვენახს, პიროტყვს პატრონი ჭირდება. ისიც არ უშინდება წლებს. ხანდახან დედას და ძმას თუ ესტუმრება დედაქალაქში (105 წლის დედა ჰყავს თურმე, შავდიას ქალი) და მაშინაც დედის საყვედურების მოსმენა უწევს. არ უყვარსო დედაჩემს, ასე მზეში გარეულ რომ ვეახლებიო.

მეუღლე ადრე გარდაეცვალა. ბოლომდე ზიდა ოჯახის ბურჯის მძიმე ტვირთი. შვილები ყველა დაოჯახებული ჰყავს, ერთმა ჩასწყვიტა დედას და ოჯახს გული, ადრე გამოეცალა ქმარ-შვილს. 25 შვილიშვილი და 5 შვილთაშვილი აობობს მის მოგონებებს. მეექვსეს ახლა ელოდებიან თურმე და მრავლდება მისი მონაგარი, მრავლდება ვაჟკაცური, ქართული გენი.

დღეგრძელი იყოს!

ია ხმელიძე.

მოვალეობის მაღალი შეკნეგი

საკმარისია ერთხელ შეხვდეო, გაესაუბროთ მას, რომ უმალ უჩვეულოდ ახლობელი და გულშემატკივრული გახდება.

აქვს უტყუარი ალღო გაუგოს გაჭირვებულს, მიანიჭოს სიხარული, იმედი მისცეს, უმალ მოიშველიოს სანუგეშო სიტყვა, აი, რით დაამსახურა ცაგერის ცენტრალური აფთიაქის გამგემ ნათელა ცხვედიანმა თანამოსაქმეთა, მშრომელთა ნდობა და პატივისცემა.

რაჭველი ქალი დინჯია, სითბოსა და სიყვარულს იოლად როდი არიგებს, მას ორი ათეული წელია თეთრი ხალათი არ გაუხდია, ფარმაცევტობა მისი მოწოდებაა და აკი ემსახურება მას პატიოსნად, რათა ადამიანებს სარგებლობა მოუტანოს, სიკეთე

... ადღეა

ციალა გოდერიძე ბავშვობიდანვე ოცნებობდა მასწავლებელი გამხდარიყო. ლაილაშის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1964 წელს იგი ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-მეთოდიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, რომელიც 1968 წელს დაამთავრა და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ლაცორიის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად, ხოლო 1975 წლიდან მუშაობს ლაილაშის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

ციალა 20 წელია პატარების აღზრდა-სწავლების დიდ საქმეს ემსახურება. 20 წელი მცირე არაა დაოსტატებისათვის. ლაილაშის დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ყოველ დილით მიუხარიათ სკოლისაკენ, სადაც მათ მშობლიური ზრუნვით ეგებებიან მასწავლებლები, მათ შორის ციალა გოდერიძეც. ვინ მოსთვლის ამ კეთილმა ადამიანმა რამდენ პატარას დაბნია გულზე მშობლიურ ანბანთან ერთად მარცვალ-მარცვალ, სიტყვა-სიტყვით ქართველი ერის, სამშობლოს, დედა ენის სიყვარული.

გილოცავთ!

ციალამ გითავისა საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტში მოცემული ძველი სასკოლო მექანიზმის შეცვლისა და ახალი ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების პროცესში სკოლის მასწავლებლის წინაშე მდგარი უსაზღვროდ დიდი ამოცანები და ახლა გაორკეცებული ენერგიით მუშაობს.

ციალა გოდერიძე დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს ახალგაზრდებს, მშობლებსა და პედაგოგებს შორის. 1986 წელს იგი დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით, 1987 წელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის წოდება.

ეს ჯილდოები, ეს დაფასება ბევრ რამეს ავალებს მას და ყველაფერზე წინ აყენებს ლამაზი ქართულით გადასცეს მოსწავლეებს გულისთქმა, თვალხატული პატარებს მისცეს მეცნიერების დაუფლების სწორი გზა.

ციალა გოდერიძის ცხოვრება, ლამაზი და ბედნიერი მარტო მასწავლებლობით არ არის. მან 1971 წელს ცხოვრების ბედი დაუკავშირა ლაილაშელ ინჟინერს შოთა ბუაძეს. მათ ცხოვრებას შნოსა და ლაზათს 3 შვილი ანიჭებს. რომელთაგან ერთმა გასულ წელს დაამთავრა ლაილაშის საშუალო სკოლა, მეორე და მესამე ამ სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან.

ზამთარმა გზა დაულოცა ტურფა გაზაფხულს. მინდა ქალთა დღესასწაული 8 მარტი მივულოცო ლაილაშის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მორწმენავ მასწავლებელს, კარგ დედას ციალა გოდერიძეს.

ვლ. დავითულიანი.

„გაზაფხულივით მხნე და ლამაზი"

ცაგერის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ტელეგრაფის თანამშრომელს ინგული ახვლედიანს 8 მარტს პირველები მეუღლე და სამი ვაჟი მიულოცავენ და შემდეგ ისინი, ვისაც ასე გულდადებით ემსახურება სამ ათეულ წელზე მეტია.

ბევრი რამ შეიცვალა ამ წლების მანძილზე, უმარტივესი, მორზეს ანბანზე დაფუძნებული აპარატები მუშაობდნენ, დღეს უახლეს ტექნიკას ფლობენ, მაგრამ არ შეცვლილა ყველაზე უმთავრესი—დამოკიდებულება საკუთარი საქმისადმი, ასეულობით ადრესატისადმი, მათდამი, ვინც ხშირად გვიან ღამით ან დილაუთენია მოისწრაფვის ტელეგრაფისაკენ საკუთარი საზრუნავით, საფიქრალით სავსე და ელის, რომ ყურადღებიანი მომსახურებით დროულად დაეხმარები.

და ინგულიც აქ, ტელეგრაფის სპეციალურ ტექნიკასთან მომუშავე, მოწმე ხდება უამრავი სასიხარულო ცნობის, ზოგჯერ მწუხარების ტკივილით სავსე სტრიქონებიც ჩალაგდება დეპეშის ბლანკზე, მაგრამ ნებისმიერ ამ შემთხვევაში მის მიერ შესრულებულ სამუშაოს მისეული ადამიანური მგრძნობელობა თან ახლავს.

გარშემომყოფთადმი გულის სითბო და მზრუნველობა ამ სათნო ქალს ბუნებრივად შეთვისებია. სრულიად ახალგაზრდამ სიყვარულით შექმნილ ოჯახს მეუღლესთან, აბესალომ ტვილდიანთან ერთად მამა-პაპური ტრადიცია დაუფუძნა. სოფლის სიკეთის მცოდნემ ვაზი შეიყვარა, საკუთარი ხელით მოწეული მოსავლის მადლი შეიგრძნო და მოკეთის გულის საამოდ ფუძეჭელერი, ღონიერი ოჯახი შექმნა, თავის სამ ვაჟსაც გრჩას, გიას, დათოს მოყვასის და სოფლის სიყვარული უსაგზლა.

ცხოვრობს ჩვენს გვერდით ინგული ახვლედიანი, როგორც კარგი ოჯახის დიასახლისი, მზრუნველი დედა, საკუთარ პროფესიაზე შეყვარებული მშრომელი ქალი ერთი მიზნით და ერთადერთი სურვილით — იცხოვროს, იშრომოს მხოლოდ ბედნიერი მომავლისათვის, შვილების სულიერი თუ ზნეობრივი სიმტკიცისათვის.

დე, კიდევ მრავალი წლების მანძილზე შეგებებოდეს ქალბატონი ინგული გაზაფხულს „გაზაფხულივით მხნე და ლამაზი".

ლ. ცხვედიანი.



სურათზე: ი. ახვლედიანი მუშაობისას.

თესოს.

ნათელა ჭეშმარიტი ინტელიგენტია, დახვეწილი სიტყვა-პასუხით დაჯილდოებული. იგი რაჭის ერთ-ერთ ლამაზ სოფელ ქვიშარში დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, წარჩინებით დაამთავრა და მშობლიურ რაიონს ახალგაზრდა სპეციალისტად მოევლინა.

ფარმაცევტის ხასიათი ძირითადად სიდინჯის, ზრუნვის, პატივისცემისა და თანაგრძნობის ერთობლიობით გვევლინება. სწორედ ასეთია იგი.

19 წლის წინ ცხოვრების ბედიღბალმა ქალაქ ცაგერში დააფუძნა და ცენტრალურ აფთიაქში დაიწყო მუშაობა ფარმაცევტად. შემდეგ კი კომუნისტი ქალი აფთიაქის გამგედ დააწინაურეს.

საიდან, როგორ დაიწყო?

გადაუდებელი საქმე აფთიაქის რეკონსტრუქცია იყო. რამდენი ენერგია და უძილო ღამე მოახმარა ამ საქმეს. ახლა ყველას ხიბლავს იქაურობა. მშრომელთა მედიკამენტებით მომარაგება ხომ უპირველესია. საქმის ერთგულ ქალს წინ ვერაფერი დაუდგა, საფთიაქო სამმართველოში ხან რას ითხოვდა და ხან რას, რათა ახალი მედიკამენტები შემოეტანა, მშრომელთა მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. დღედაღამ დაძაბულმა შრომამ განაპირობა ისიც, რომ მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა 126 პროცენტით გაენაღდებინა.

იგი მშრომელებს მარტო მედიკამენტებით კი არა, ნაღდი ადამიანური, მაღალზნეობრივი თვისებებითაც „ამარაგებს".

რაიონული საავადმყოფოს მრავალრიცხოვან კომუნისტთა წინამძღოლს ნათელა ცხვედიანს საქმეს რა გაუოლევს. იგი ღირსეული მეუღლე და საუკეთესო დედაა.

ხელმძღვანელი ქალის ცხოვრებისეული ფორმულა ასეთია: სადაც უნდა იყო, შენი საქმე უნდა აკეთო, საერთო შრომას შენი წილი უნდა შეუნივთო.

ვუსურვებთ ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს.

ბ. ბაქრაძე.

ცნობა

ჩატარდა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების რაიონული და სასოფლო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები, რომლებმაც აირჩიეს კომისიების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები და მდივნები შემდეგი შემადგენლობით:

რაიონული საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე—**ამირან ალიოშას ძე კვირკაშვილი.**

მოადგილე — **გოგი ოთარის ძე მუშკუდიანი.**

მდივანი — **ნორა ნიკოლოზის ასული ჩაკვეტაძე.**

ტვიშის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე — **გიორგი ვლადიმერის ძე ნემსწვერიძე.**

თავმჯდომარის მოადგილე — **ოლეგ გრიგოლის ძე ნემსწვერიძე.**

მდივანი — **ნინო ჯიმშერის ასული ნემსწვერიძე.**

ალპანის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე — **ჟინვერ დალოსტის ასული ალავიძე.**

თავმჯდომარის მოადგილე — **ომარ სერაპიონის ძე ფრუიძე.**

მდივანი — **ლალი კოლიას ასული ირემაძე.**

ლაილაშის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე—**ჯონი დავითის ძე ჩორგოლიანი.**

თავმჯდომარის მოადგილე — **ზურაბ სარდიონის ძე ურთმელიძე.**

მდივანი — **ნონა ნოდარის ასული მესხაძე.**

ორგელის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე—**რუბენ სემინარის ძე ლარცულიანი.**

თავმჯდომარის მოადგილე — **მევლუდ პიმენის ძე მეგრელი.**

მდივანი — **რუსუდან ვარლამის ასული კვირკაშვილი.**

უსახელოს სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე—**ჯოტო ვასილის ძე თოთაძე.**

თავმჯდომარის მოადგილე —**შალვა პლატონის ძე ხეცურიანი.**

მდივანი — **მაია ბახვას ასული შეკი'ბვილი.**

ღვირიშის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე — **გივი პლატონის ძე გუგავა.**

მოადგილე — **ჯიმშერ თეოდორეს ძე გიორგობიანი.**

მდივანი — **გულსუნდა ვასილის [redacted] ჭაბუკიანი.**

ნაკურალეშის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე—**იგორ გერონტის ძე ყურაშვილი.**

თავმჯდომარის მოადგილე — **ვაჟა სევარიონის ძე ყურაშვილი.**

მდივანი — **მერი სოლომონის ასული ჩაკვეტაძე.**

ალვის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე — **ბიბიკო კოსტას ძე მიქაძე.**

თავმჯდომარის მოადგილე — **შურმან სამსონის ძე ჯიაძე.**

მდივანი — **ქეთინო გრიგოლის ასული ჭაბუკიანი.**

ლასურიაშის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე — **კლარა იულოს ასული ხმელიძე.**

თავმჯდომარის მოადგილე — **ნიკო მიხეილის ძე მუშკუდიანი.**

მდივანი — **მარინე დუშმანის ასული კანაჩაძე.**

ქვედა ცაგერის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე — **კუკური გერონტის ძე ლეთოდიანი.**

თავმჯდომარის მოადგილე —**ვლადიმერ გრიგოლის ძე დავითულიანი.**

მდივანი — **ნათელა გრიშას ასული მიქაძე.**

ღუხვანოს სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე — **ვიტალი ალექსანდრეს ძე კოპალიანი.**

მოადგილე—**ნაირა სამსონის ასული საღინაძე.**

მდივანი—**ლიდა სარდიონის ასული ბობოხიძე.**

წიფერჩის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე — **ყორა შალვას ძე კოპალიანი.**

მოადგილე—**მზია ამირანის ასული ჩიქოვანი.**

მდივანი—**ლილი ინდიკოს ასული დავითულიანი.**

ზუბის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე—**შალვა ლავრენტის ძე ომანაძე.**

თავმჯდომარის მოადგილე — **აპოლონ ერმილეს ძე მუშკუდიანი.**

მდივანი—**ლამზირა ვალიკოს ასული ჩაკვეტაძე.**

ოყურეშის სასოფლო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე—**შურა სერგოს ასული უგრეხელიძე.**

თავმჯდომარის მოადგილე —**ჯენი ალიოშას ასული ყურაშვილი.**

მდივანი — **ნატო ყორას ასული ყურაშვილი.**

გთავაზობთ ქალთა შემოქმედებას

სადღეგრძელო

ჩემო მრავალჯერ დარბეულო,
მაინც თვალწარმტაცო,
სანატრელო,
მტრისგან ათასჯერ დაკუწულო,
ჩემო ერთო გოჯო საქართველო.
ურჯულოთ სისხლით წაბილწულო,
ყრმათა სიყვარულით ნაარსებო,
რუსთაგან გამოტყუებულო და
მაინც აღმსდგარო, თვალნათელო.
შენი დღეგრძელობისა იყოს
ჩემო ლამაზო საქართველო.
შენი სიყვარული მასულდგმულებს,
შენი მომავალი მაიმედებს,
შენი თამარი მაიძულებს,
ოხვრით მოწყენილსა მანუგეშებს,
შენთვის ვარსებობ სანატრელო,
მოძულეთ სისხლისგან
დაშრეტილო,
ჩემო ამაყო საქართველო.
შენი წინსვლისა იყოს
ჩემო ერთო ციცქნა, თვალნათელო.
ხატის წინ დაჩოქილი, სულ
შენზე ვჩურჩულებ,
ყელიდან ამომსკდარი მიქრიან
ბგერები,
ალბათ, ასეთია ჩვენი ბედისწერა,
სიყვარულით დავიფერფლოთ,
ჩვენ, არაგველები.
ჩემო მრავალჯერ დარბეულო,
მერაბზე გულ-დაჭრილო,
სანატრელო,
ზურაბის სიკვდილით გატანჯულო,
ერთ მუჭად შეკრულო
საქართველო,
შენი თავისუფლებისა იყოს,
ჩემო ფესვ-ძლიერო საქართველო.

სოფიო გურჯაღიანი,
ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლე.

თავისუფალ საქართველოში

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...“
ღვთისმშობლის კვალს უნდა მიჰყვე, ქართველო დედავ!
შენ გესმის შენთა შვილთა კვნესა ძილშიც, ღვიძილშიც,
მკურნალიც შენ ხარ, რადგან მათ ჭირს შენ უფრო ხედავ.
ერის დედაო, დაჩაგრულთა ნაქთსაყუდარო,
ო, რარიგ სევდა ჩასდგომია შუქიან თვალებს...
ალბათ იმიტომ, ერთგულად სწევ იმ მძიმე უღელს
შენი ტანჯული ქვეყანა რომ დღეს შენ გავალებს.
მაგრამ არ შედრკე, წინაპართა ნატერფალს მიჰყევ!
ღრმად ჩაუკვირდი, რას გთავაზობს ბრძენკაცთა თქმული,
ყური მიუგდე შავით მოსილთ კვნესა-გოდებას,
და აღიგზნება სიმართლისთვის მაგ წმინდა გული.
იების კონებს მოგართმევენ რვა მარტისათვის,
ნუ გაგიტაცებს ის სურნელი, ჯერ არას გარგებს.
წითელი ლაქა არ შემშრალა პატარას აკვანს,
სისხლის სუნი სდის მშობელ მიწას, შენს ტურფა მხარეს.
იხსენ ქვეყანა! კვლავ გაშალე წმინდა მანდილი.
შუა ჩაუდექ ძმათა ცეცხლებრ ანთებულ გულებს,
იჩქარე, თორემ თუ ამ ჩეხვით გადავშენდებით,
ვერაფერს არგებ საქართველოს იარებს, წყლულებს.
წმინდაო ნინო, ვაზის ჯვარით ნალოც-ნაკურთხი
ღრმა ძილისაგან გამოფხიზლდა ქართველი ერი.
კვლავ სათნოებით მოევლინე, განწმინდე იგი,
რომ საქართველომ დაამარცხოს ვერაგი მტერი,
ღმერთო, ძლიერო! პირველად რომ ნათელი მოგვეც,
ნათელი იგი, დღეს რომ მკრთალად ირგვლივ გვავლია.
ნუ ჩაგვამწარებ მას, რაც ასე უხვად გვიბოძე,
გვიშველე რამე, სიყვარულის სითბო გვაკლია!
აბელს კაენი შეურიგე, დედას კი უთხარ:
ივანანას ჰანგს ჩაუზარდოს ფესვი მძლეველი.
ფესვი სიმართლის, სინდისის და პატიოსნების,
ქვეყნად სიბნელის, ბოროტების დამანგრეველი.
მაშინ შვიდფერი ცისარტყელაც გადმოგვანათებს,
თვალხელმოჩრდილულს მოხუცს სახე გაებადრება.
საქართველოს ცა ლარჟვარდფერად გაშლის კამარას,
ახალგაზრდობის ოცნებებიც აელვარდება.
ქალთა ზეიმიც ვარდის ფერებს მოაფრქვევს ირგვლივ,
ქართველი ქალიც თაყვანცემის ღირსი გახდება.
მომავალ 8 მარტს თავისუფალ საქართველოში
ქართველთ გულები მზის სადარად გამონათდება.

ნიურა ფრუიძე,
ალპანის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

საამაღლებელი ქალებს

მადლობა კეთილი სამსახურისათვის

ვარ ავადმყოფი. ოჯახური პირობების გამო აუცილებელია ვიმუშაო. მიწევს ღამის საათებში მორიგეობა. ხშირად იძულებული ვარ გამოვიძახო სასწრაფო დახმარება, და ისინიც დროულ და კვალიფიციურ დახმარებას მიწევენ.

დღეს 8 მარტია და მინდა სასწრაფო დახმარების მედდებს — სონა მეშველიანს, ბაბი შკუბულიანს, ონტო ბერიძეს, ლამარა ბანძელაძეს, მზია კენჭაძეს, მანანა მუშკუდიანს, ცირა სილაგაძეს და სხვებს მივულოცო ეს დღესასწაული და ვუსურვო ჯანმრთელობა და სიხარული, კვლავაც დიდხანს მდგარიყვნენ მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

მ. ჩხეიძე,
კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მეელსმენე.

ყურადღებით, გულისხმიერებით

გსურს გაიგო ახლობლების ამბავი, მათი, ვინც რამდენიმე ათეული თუ ასეული კილომეტრითაა დაშორებული. ამ დროს მიდიხარ მათთან, ვისაც შეუძლიათ დახმარების გაწევა, გულზე მოწოლილი დარდის შემსუბუქება. სწორედ ასეთები არიან კავშირგაბმულობის ცაგერის რაიონული კვანძის მეელსმენეები.

მეელსმენეები ღიმილით შეგებებიან, ყურადღებით მოგისმენენ, დროულად დაგაკავშირებენ შენთვის სასურველ სატელეფონო ნომერს, და კმაყოფილი ხარ, რომ გაიგე საჭირო ინფორმაცია ახლობლებზე. რაც აუცილებელია იმ დრო, როცა ჩვენ ყველამ ერთმანეთს სიცოცხლე, სიყვარული და სიხარული უნდა ვუძღვნათ.

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა კავშირგაბმულობის ცაგერის რაიონულ კვანძში მომუშავე ყველა ქალს მივულოცო გაზაფხულის პირველი დღესასწაული — 8 მარტი. ვუსურვო მათ ბედნიერება, სიხარული პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დარეჯან მეგრელი,
ცაგერის შემნახველი ბანკის მოლარე.

ჩილოცავთ

მარინე ჭიჭიკოს ასულ გურულს
ნოდარ არქიფოს ძე სიღაგაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი და შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ორბელის საშუალო სკოლის X ა კლასის მოსწავლეები. და კლასის ხელმძღვანელი ზინაიდა ქლიბაძე.

ხათუნა ჯიმშერის ასულ კოპაღიანს
ვაჟა სამსონის ძე ქორქაშვილს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გემრავლებინოთ ერი!

განათლების განყოფილების თანამშრომლები.

როზა ვასილის ასულ სიღაგაძეს

გილოცავთ ქალთა დღეს. გისურვებთ დღეგრძელობას.

ნონა, ნათია, ნანა ფანჯავიძეები

სანდრო კონსტანტინეს ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ნონა, ნათია, ნანა ფანჯავიძეები

ჯანიკო და ჯოკია ირემაძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ქვეყნისა და ერის სასახელო ვაჟკაცი.

ცაგერის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები.

შვილები ბეგია, გივი, რეზო, თინა, თაბური, ნანა, ძმა ვალიკო მუშკუდიანი, რძლები მედიკო, ძაბუ სვანიძეები, ლია ნიკოლაიშვილი, თინა კანაჩაძე, მაია გვიშიანი, სიძეები ჯიმშერ ზალკალიანი, ჟორა უჩაძე, როინ სილაგაძე, ზაურ გოქაძე, შვილიშვილები ლამზირა, რამაზი, ამირანი, თამაზი, გენური, ნინო, გოგი, ლელა, ელზა, ალეკო, ხვიჩა, ზაზა, ფრიდონი, შვილთაშვილები თამუნა, თინიკო, შალვა, მაზლისშვილები გოგუცა, ნუშა, ძმისშვილები, მულისშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოგუცა ერასტის ასული ხეცურიანი-ჩხეტიანი.

დაკრძალვა 13 მარტს, სამშაბათს სოფ. ღვირიშში.

ცაგერის პროფსასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გოგუცა ჩაკვეტაძეს სიძის

ლევან ლოსაბერიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის პროფსასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შარდენ გუგავას სიმამრის

გიორგი ონიანის

გარდაცვალების გამო.

ძმები დადაში, გოგი, ჯიბილო, და ნორა, რძლები ნორა, ანგელინა, მაგული, თინიკო, ნათელა, ძმისშვილები თენგიზი, მანანა, ემზარი, ქანა, მალხაზი, ლევანი, დისშვილები აზა, მაყვალა, იამზე, ვენდი კვირკაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიტალი ამბროსის ძე მეშველიანი

დაკრძალვა 10 მარტს, შაბათს, 5 საათზე, სოფ. ჩხუტელში.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიტალი ამბროსის ძე მეშველიანი

ბიჭიკო კოპალიანი, სოსო კუხალაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარო ელიზბარის ასული კოპალიანი.

ტვიშის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გიული, როლანდ ლაჭყეპიანებს მამამთილისა და მამის

დავით ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

გივი, ჟორა ლეთოდიანები, შოთა ბერიძე თანაუგრძნობენ მაგული და ჯიბილო მეშველიანებს

ვიტალი მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის ღვირიშის განყოფილებისა და სასოფლო საბჭოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია და რეზო ჩხეტიანებს დედისა და დედამთილის

გოგუცა ჩხეტიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები შურა ჩიქოვანი, სარდიონ ფუტკარაძე, სოსო ჩაკვეტაძე, თამარ ახვლედიანი, არტურ, ჯიმშერ ყვირილიანები, ნუკრი საღინაძე, გიორგი ბენიძე, თამაზ სილაგაძე, მაიზერ კოპალიანი, პლატონ ირემაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ბიჭიკო კოპალიანს დის

მარო კოპალიანი-ბრეგაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: ხოფლის შეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის ხამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.